



14.12.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მესამე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №5

1. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	სტატუსი	ორგანიზაცია
ირმა გელაშვილი	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი შენგელია	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თინათინ აბრალავა	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ილია დევიძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თორნიკე გეწაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მარიამ მაჭარაშვილი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ პაპაშვილი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვახტანგ გარდაფხაძე	წევრი	სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“
გიორგი მიქაუტაძე	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
დემეტრი გვრიტიშვილი	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ თომაშვილი	მონაწილე	ევროპის კავშირი
ნინო გოგიბერიძე	მონაწილე	ევროპის კავშირი
ქეთევან კუკავა	მონაწილე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ეკა ციმაკურიძე	მონაწილე	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ვერიკო ბერეკაშვილი	მონაწილე	საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
მარიამ მხატვარი	მონაწილე	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ნინო მდინარაძე	კოორდინატორი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	მდივანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრა, ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.

3. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2018 წლის 14 დეკემბერს, მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 8 წევრი. კვორუმი შედგა. შეხვედრის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფმა შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საბჭოს წევრი, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენელი და ამავე პროექტის ადგილობრივი ექსპერტი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის წარმომადგენლების სურვილის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება მონაწილის სტატუსით მათი სხდომაზე დაშვების თაობაზე.

მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მესამე სტრატეგიული მიმართულებით (ხარისხიანი მართლმსაჯულების, პროფესიონალიზმის და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა) გათვალისწინებულ შეუსრულებელ აქტივობებზე. ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს შემდეგი აქტივობების შესრულების მდგომარეობაზე: მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის შექმნა;¹ დავების კატეგორიის განსაზღვრა და დელეგირება/განსახილველად გადაცემა სასამართლოს შესაბამის მოხელეებზე;² განგრძობადი განათლების საჭიროებების კვლევის ორგანიზება ყოველწლიურად, საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებით არსებული ტრენინგ მოდულების გადახედვა;³ პილოტურ რეჟიმში სწავლების დისტანციური მეთოდების დანერგვა;⁴ სასამართლო გაცვლითი პროგრამების განვითარება ევროკავშირის ქვეყნებთან;⁵ ექსპერტის მიერ შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება CCJE-სა და ENCJ-ს სტანდარტების მიხედვით;⁶ სასამართლოს თავმჯდომარეთა და სასამართლოს მენეჯერთა აქტიური ჩართულობით, ბიუჯეტის დაგეგმვისა და მართვის არსებული შიდა მოდელის გაუმჯობესება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;⁷ შენობების გამართულობის დარბაზების აღჭურვის ხარისხის, უსაფრთხოების ნორმების დაცვის სტანდარტების შეფასება⁸ და ა. შ.

¹ პროგრამა 3.1.1-ის მეოთხე აქტივობა.

² პროგრამა 4.1.1-ის მეექვსე აქტივობა.

³ პროგრამა 3.2.3-ის მეორე და მესამე აქტივობა.

⁴ პროგრამა 4.2.3-ის მეხუთე აქტივობა.

⁵ პროგრამა 4.2.4-ის მეოთხე აქტივობა.

⁶ პროგრამა 3.3.1-ის პირველი აქტივობა.

⁷ პროგრამა 4.3.6-ის პირველი აქტივობა.

⁸ პროგრამა 4.5.1.

განხილვის პროცესში ჩართულნი იყვნენ ასევე დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

4. მესამე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

განახლებული ინფორმაციის წარმოდგენის საფუძველზე მესამე სამუშაო ჯგუფმა დამატებით განიხილა ზოგიერთი აქტივობისთვის ნაწილობრივ შესრულებულის ან შესრულებულის სტატუსის მინიჭების საკითხი.

მესამე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით საბოლოო დოკუმენტის შემუშავებაზე.

5. თანდართული დოკუმენტები

- მესამე სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 14 დეკემბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:

ი. თეიჭია

ირმა აელაშვილი

ი.

ირაკლი შენგელია

სხდომის მდივანი:

ნინო დემურხანაშვილი

ნინო დემურხანაშვილი

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის
იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი

III სამუშაო ჯგუფის (ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის
ეფექტიანობის უზრუნველყოფა)

შეხვედრის დღის წესრიგი

1. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი
იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული
აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრა, ახალი, 2019-2020 წლების
სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.

შეხვედრის თარიღი: 2018 წლის 14 დეკემბერი
შეხვედრის დრო: 13:00 სთ.